პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 92 (1106) | ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 60 კაპ.

ენა ვერ აღწერს იმ სანახაობას, რაც ათასობით ადამიანის თვალწინ გადაიშალა 28 ივლისს, მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე. მე როგორც ხელოვნების დარგის მუშაკს თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო სუიტაზე, რომელსაც დიდებული სახელი ერქვა — „აყვავდი ჩვენო ახალგაზრდობავ“.

როდესაც მოედანზე გამოვიდა ამ გრანდიოზულ სანახაობაში მონაწილე ორ ათასზე მეტი ახალგაზრდა, ცოცხალი ყვავილების ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა მწვანედ მობიბინე მინდორი. აქ იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: უკრაინელი მეშახტეები, კასპიის მენავთობეები, კურსკელი კოლმეურნეები და საქართველოს სტუდენტები...

...იგრიალა მუსიკამ და მაყურებელი პირველსავე ტაქტებიდან მოჯადოვდა ქართული ცეკვებით. განსაცვიფრებელი სიმსუბუქით, ჰაეროვნებით და გრაციულობით მოძრაობდნენ გოგონები. ვაჟები კი... მე არ ვიცი თუ ვინმეს შეუძლია ისე ტემპერამენტიანად ცეკვა როგორც ქართველებს...

ოლღა ლეპეშინსკაია,
სსრკ სახალხო არტისტი.

მოსკოვში ჩამოსვლამდე, ჩვენთან საფრანგეთში, ბევრი უსიამოვნო რამ მიამბეს საბჭოთა კავშირზე. მიუხედავად იმისა, რომ არ ვეკუთვნი მშიშარა, ადვილად დამჯერე ადამიანთა კატეგორიას, ყოველდღიურმა და დაბეჯითებითმა აგიტაციამ რაღაც გაურკვეველი გრძნობა დაბადა ჩემში. მაინც გადავწყვიტე ჩამოვსულიყავი და ჩემი თვალით მენახა ყველაფერი ის, რასაც საფრანგეთში საბჭოთა სპორტზე ქადაგებდნენ.

პირველმა შთაბეჭდილებებმა სრულიად გაფანტა ეჭვის ის პატარა ნაწილაკი, რომელიც ჩემი სურვილის მიუხედავად მაინც იყო გულში შეპარული. სიმართლემ მაინც თავისი სთქვა. მე დამარწმუნა, სხვებს კი თვალი აუხილა. საბჭოთა კავშირში სპორტი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი დარგები, მშვიდობის და ურთიერთმეგობრობის მტკიცე საფუძველზე დგას და მოსკოვის თამაშებიც სწორედ ამ ნიშნით ტარდება.

ვინც არ უნდა გამოვიდეს სპორტულ შეხვედრებში უძლიერესი, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია რომ გამარჯვება მშვიდობასა და მეგობრობას დარჩება.

დენი ლალანი,
გაზეთ „ეკიპის“ თანამშრომელი.

ჩემი სპორტული კარიერა XVI ოლიმპიურ თამაშებამდე დამთავრდა. ავსტრალიაში ვიყავი მხოლოდ სტუმრისა და მეთვალყურის როლში. სპორტიდან წასვლა არ იყო „დეზერტირობით“, სახელის დაკარგვის შიშით გამოწვეული გრძნობა. იგი ულმობელი წლების ბრალი იყო.

მაგრამ აი მოვიდა ახალგაზრდობის გაზაფხული და ჩემი „ბებრული“ გულიც გაახალგაზრდავდა და გადავწყვიტე ერთხელ კიდევ მეცადა ჩემი ძალები ახალგაზრდებთან შეჯიბრებაში. წარმატების იმედი, რა თქმა უნდა, არ მქონდა. ჩემი დრო უკვე წავიდა. ახლა ასპარეზი კუცებისა და ლაურენსების ხელშია. მაგრამ მე მინდოდა ამ ზეიმის უშუალო მონაწილე ვყოფილიყავი.

ბედნიერი ვარ, რომ შემაქვს პატარა წვლილი იმ დიდ საქმეში, რომელსაც მთელი მსოფლიოს სპორტსმენების მეგობრობა ჰქვია.

ემილ ზატოპეკი

სურათებზე: ფესტივალის გახსნის დღეს ჩატარებული მასობრივი ვარჯიშები.
ფოტო ფ. კრიმსკისა. ჩვენი სპეც. კორესპონდენტა.

ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს

სპორტული თამაშებისათვის მზადება არა მარტო სპორტულ ორგანიზაციებსა და ბაზებზე მიმდინარეობდა, არამედ ქარხნების საამქროებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებშიც, რადგან ეს გრანდიოზული ღონისძიება ახალ ტექნიკას მოითხოვდა. ერთ-ერთი ახალ ხელსაწყოთაგანია ვ. ი. ლენინის სტადიონის ტრიბუნაზე დადგმული შუქინფორმატორი, რომლის ავტორები არიან უნგრელი სპეციალისტები პალი ბანიაი და ლასლო ხოლო. შუქინფორმატორი სწრაფად უჩვენებს რა ნომრით გამოდის ესა თუ ის მონაწილე, როგორია შედეგი სანტიმეტრებსა თუ მეათედ წამებში და სხვ. ელექტროციფრები კარგად ჩანს მზიან დღეებშიც. ახალი ელექტროფარი წააგავს ბუდაპეშტის სახალხო სტადიონის ფარს, მაგრამ სიდიდით და კეთილმოწყობით ბევრად აღემატება მას, ამჟამად იგი უდიდესია მსოფლიოში. თითოეული შუქინფორმატორის (ასეთი ორია ჩრდილო და სამხრეთ ტრიბუნების თავზე) სიგრძეა 21 მეტრი, სიმაღლე — 8.

შუქინფორმატორზე ერთდროულად შეიძლება 300 ასოს დაწერა, რისთვისაც საჭიროა 10.500 ელნათურა, ორივე ინფორმატორის კაბელების სიგრძე 50 კილომეტრია.

• • •

სპორტინვენტარის ცენტრალურ ლაბორატორიაში დაამზადეს საათი კრივისათვის. ეს ავტომატური დანადგარი საკმაოდ უნივერსალურია. იგი ელექტროციფრებით ზომავს და აჩვენებს ბრძოლების სუფთა დროს რინგზე. დამსწრეთ აცნობს ყოველი რაუნდის დაწყებას, დამთავრებას, შესვენების დამთავრებამდე 5 წამით ადრე აფრთხილებს სეკუნდანტებს და სხვ.

• • •

მოსკოვის სპორტულ ბაზებზე მეოთხე დღეა მიმდინარეობს III მეგობრული თამაშები. კალათბურთელები, მოკრივეები, წყალბურთელები, ველოსიპედისტები, ფრენბურთელები, მძლეოსნები, ნიჩბოსნები (აკადემიური), რეგბისტები, ჩოგბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები, მოფარიკავეები — ბრძოლაში ჩაებნენ 30 ივლისს, მოცურავეები და ხელბურთელები 31 ივლისს. პირველ აგვისტოს დაიწყო შეჯიბრება მშვილდოსნობაში.

მონაწილეთა მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი მძლეოსანთა შემადგენლობაა. გამარჯვებისათვის იბრძვის 27 ქვეყნის წარმომადგენელი, თამაშების პროგრამის 23 სახეობიდან საბჭოთა და რუმინეთის წარმომადგენლები გამოდიან 20-20 სახეობაში, ბულგარელები — 17-ში, ჩინელები — 7-ში, იუგოსლაველები — 4-ში, აშშ-ს სპორტსმენები გამოდიან მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთში. მონაწილეთა მხრივ ყველაზე მცირერიცხოვანია რეგბის (იტალია, რუმინეთი, უელსი, საფრანგეთი და ჩეხოსლოვაკია), მშვილდოსნობის (ინდოეთი, იტალია, პოლონეთი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია და სამხრეთ აფრიკა), ხელბურთის (ავსტრია, რუმინეთი, გდრ-ი, საბჭოთა კავშირი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია). მონაწილე გუნდების რაოდენობა.

• • •

თამაშების მონაწილე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საქართველოს სპორტსმენებს, განსაკუთრებით კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავენ კლასიკურ ჭიდაობაში ა. ქორიძე, რ. აბაშიძე, მ. ღუდუშაური და დ. შენგელია, თავისუფალ ჭიდაობაში — ზ. მჭედლიშვილი, ო. კანდელაკი, ვ. არსენიანი, გ. ჯინჭარაძე და ქუთაისელი გ. გობეჯიშვილი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოდიან სპორტის სხვა სახეობებშიც: ნ. დვალიშვილი — მძლეოსნობაში, გ. მინაშვილი — კალათბურთში, შ. ხუდოიანი — კრივში, ნ. გვახარია და ვ. კლიმენკო — წყალბურთში, ბ. ნიკიტინი, ლ. გიორგაძე, ა. პისკარევი და ბ. კამენსკი — ცურვაში, ი. რიაზანოვა — ჩოგბურთში, ა. კარაპეტოვი — ხელბურთში, რ. ცირეკიძე, გ. გოგელია, ი. ოსიპოვი — ფარიკაობაში და სხვ.

• • •

სპორტის ქუჩა უწოდეს ქუჩას ბელორუსიის ვაგზლიდან „დინამოს“ სტადიონამდე, რადგან სწორედ აქაა თავმოყრილი მოსკოვის სპორტული ბაზების უმეტესობა. აქ მდებარეობენ „კრილია სოვეტოვის“ ფიზკულტურის სასახლე, ნორჩ პიონერთა სტადიონი, „დინამოს“ სტადიონი და საცურაო აუზი, ველოტრეკი. ამ ქუჩიდან მიდის გზა ცენტრალური საწყლოსნო სადგურისაკენ, — რკალური რბოლის ტრასისაკენ და სხვა ადგილებისაკენ, სადაც ტარდება III სპორტული მეგობრული თამაშები.

• • •

მესამე მეგობრული თამაშები ნამდვილ სპორტულ ზეიმად გადაიქცა. ყოველი მატჩი მიმდინარეობს მეგობრულ ატმოსფეროში. არც ერთი უხეში ჟესტი, არც ერთი ზედმეტი სიტყვა მსაჯს. მეგობრული თამაშები ამართლებს თავის იდეას.

როგორც ცნობილია შეჯიბრება გასულა თვის 29-ში დაიწყო. „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში მოფარიკავეები იბრძვიან საპატიო ადგილებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. ოსიპოვი, რომელიც საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავს, ავსტრიელთან შეხვედრის დროს დამარცხდა, მაგრამ შემდეგ სამი გამარჯვება ზედიზედ მოიგო და გუნდს მეტად საჭირო ქულები შემატა. საბჭოთა კავშირმა ანგარიშით 11:5 დაამარცხა ავსტრია, შემდეგ 9:1 ფინეთი და ეგვიპტესთან, უნგრეთთან და რუმინეთთან ერთად ფინალში გავიდა.

წარმატებით მიმდინარეობს შეჯიბრებები კალათბურთში. საბჭოთა კავშირი თამაშობს იმ ქვეჯგუფში, რომელშიც გამოდიან კორეის, ჩინეთის, ბრაზილიის, ფინეთისა და საფრანგეთის გუნდები. ფრენბურთში საბჭოთა გუნდს პირველი შეხვედრა ჰქონდა ბულგარეთთან და მოიგო კიდეც იგი — 3:0.

ფეხბურთელთა ტურნირი მეტად მრავალრიცხოვანია. ამიტომ შეჯიბრებები ტარდება გორკში, ვლადიმირში, ლენინგრადში, იაროსლავსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა სუდანის ნაკრებს და 6:1 მოიგო, სამი ბურთი გაიტანა ტატუშინმა, ორი ივანოვმა, ერთი ხრაპოვიცკიმ. ჩატარებულ მატჩებიდან აღსანიშნავია ჩინეთისა და ლიბანის ნაკრება გუნდების მატჩი, რომელიც დამთავრდა პირველის გამარჯვებით ანგარიშით 11:1. გერმანიის რესპუბლიკის გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ფრიდერმა ათი ბურთი გაიტანა ცეილონის ნაკრების კარში. შეხვედრის ანგარიშია 15:0.

როგორც ყველა კომპლექსურ შეჯიბრებაზე, ისე აქაც ყურადღების ცენტრშია მძლეოსნობა. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები დგანან სტარტზე მაღალი შედეგების მოსაპოვებლად. ახალგაზრდული თამაშების პირველი რეკორდი მოხსნა ჩეხოსლოვაკელმა მძლეოსანმა ირჟი სკობლამ, რომელმაც ბირთვი ჰკრა 17 მეტრსა და 20 სანტიმეტრზე, მეორე იყო მისი თანამემამულე პილხალი, მესამე საბჭოთა მძლეოსანი ო. ოვსეპიანი. სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდათ ვალენტინა მარენიავეს და ნადეჟდა დვალიშვილს (ორივე საბჭოთა კავშირიდან) მათ ცოტათ ჩამორჩებოდა გერმანელი ანა კლაუზი. ფინალში მარენიავემ აჩვენა მაღალი შედეგი — 5 მეტრი და 87 სანტიმეტრი. დვალიშვილი მას 5 სანტიმეტრათ ჩამორჩა, ამიტომ ვერცხლის მედალით დაკმაყოფილდა. სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის გამოირჩეოდნენ სტეპანოვა და კაშკაროვი. ორივემ ერთნაირი სიმაღლე 2 მეტრი და 13 სანტიმეტრი დასძლიეს, მაგრამ პირველი ადგილი ნაკლები ცდის გამო სტეპანოვს მიენიჭა. ეს შედეგი თამაშებას ახალი რეკორდია. მესამე ადგილზე გამოვიდა სიტკინი — 2 მეტრი და ერთი სანტიმეტრი.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულად ჩატარდა ათ კილომეტრზე რბენა, საბჭოთა მორბენალმა ბოლოტნიკოვმა 50 მეტრით გაუსწრო ზატოპეკს (ჩეხოსლოვაკია), ლაურენსს (ავსტრალია). ასე გრძელდებოდა მეექვსე კილომეტრამდე, შემდეგ ლაურენსი ბიძგით გაიჭრა წინ და მხარში ამოუდგა ბოლოტნიკოვს. უკანასკნელ ორ წრეზე პირველი ადგილისათვის ბრძოლა მათ შორის მიმდინარეობდა. ბოლოტნიკოვმა სულ მცირე მანძილით მიასწრო ფინიშთან მოწინააღმდეგეს.

დღეს შეჯიბრებაში ჩაებმებიან მოჭიდავეები.

ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორ.



სურათზე: თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდი, რესპუბლიკის 1957 წლის ჩემპიონი.

დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსი

პიონერთა ბანაკების ფიზაღზრდის ხელმძღვანელთა დასახმარებლად

◆

უფროსი ასაკის ბავშვებისათვის

I ვარჯიში

ადგილზე რბენა, ერთდროულად ტანის დაზელვა ხელებით. **მითითებანი:** რბენა სრულდება საშუალო ტემპში. სუთნქვა თანაბარია; რბენის შემდეგ სრულდება ადგილზე სიარული დაახლოებით 0,5 წუთის განმავლობაში.

II ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1-2. ფეხის ცერებზე აწევა, გაზნექი მკერდის არეში, თითების გადახლართვით და ნებების ტანზე ცურებით ზემკლავი, ზენები, 3-4. ტერფებზე დაშვება, გარერკალებით მიმკლავი. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, მეორდება 6-8-ჯერ; 1-2 თვლაზე ღრმა შესუნთქვა, 3-4 თვლაზე — ამოსუნთქვა; ხელების მაღლა აწევის დროს თავი უკან არ იხრება.

III ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი, შესრულება: 1-2. ორი დრეკადი ბუქნი, მუხლები განზე, წინმკლავი, ქვენები, 3. ადგომი, მარჯვენის უკუფეხზეაქნევა, გარეზემკლავი ზღვარამდე — წინნები, 4. გარეწინრკალებით მიმკლავი. 5-8. იგივე მარცხენის უკუფეხზეაქნევით. **მითითებანი.** ვარჯიში სრულდება ტემპის თანდათანი მომატებით ნელი ტემპიდან საშუალომდე; მეორდება გოგონათათვის 4-6-ჯერ; ბიჭებისათვის 6-8-ჯერ; სუნთქვა თანაბარია; ბუქნები სრულდება ფეხის ცერებზე, ქუსლები ერთადაა.

IV ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1. მარჯვენის განზე გადგმით ფეხშლით დგომი, ფეხები მხრებზე განიერად, შიგრკალებით ზემკლავი, უყურეთ ხელებს. 2-3. ორი დრეკადი წინზნექი წელის გამართვით, ნიდაყვების უკან გადაწევით ლუნგანმკლავი, ხელები თავს უკან. 4. მარჯვენის მიდგმა მარცხენასთან, ზემართი, გარერკალებით მიმკლავი. 5-8. იგივე მეორე ფეხით. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება 4-6-ჯერ; სუნთქვა თანაბარია; წინზნექების დროს ფეხები მუხლის სახსარში არ იხრება.

V ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1. წახტომით ფეხშლით დგომი, ფეხები მხრებზე განიერად, წინმკლავი. 2-3. ორი დრეკადი უკუზნექი, ორჯერ დრეკადი მოძრაობით განმკლავი ზღვარამდე, ზენები. 4. წახტომით მიქუსლებული დგომი, ზემართი, მიმკლავი. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება გოგონებისათვის 4-6-ჯერ; ბიჭებისათვის — 6-8-ჯერ; სუნთქვა თანაბარია; უკუზნექები სრულდება ამპლიტუდის თანდათანი მომატებით ზღვარამდე.

VI ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ფეხშლით დგომი, ფეხები მხრებზე განიერად. შესრულება: 1. ზეტანის მარჯვნივ ბრუნი ზღვარამდე, ხელების მომუჭვით განმკლავი, თითები ზევით, უყურეთ მარჯვენა ხელს. 2. ხელის გაუშლელად საწყისი მდგომარეობის გადაცილებით ზეტანის მარცხნივ ბრუნი ზღვარამდე, განმკლავი, თითები ზევით, უყურეთ მარცხენა ხელს. 3. საწყისი მდგომარეობის გადაცილებით ზეტანის მარჯვნივ ბრუნი ზღვარამდე, გარერკალებით ზემკლავი, ტაში თავს ზევით, უყურეთ ხელებს. 4. ზეტანის მარცხნივ ბრუნი, გარერკალებით მიმკლავი. 5-8. იგივე მეორე მხარეს. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება 4-6-ჯერ; სუნთქვა თანაბარია; ზეტანის ბრუნების დროს ტერფები უძრავადაა.

VII ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1. მარჯვენის უკუფეხზეაქნევა ზღვარამდე, წელში გაზნექი, წინრკალებით ზემკლავი ზღვარამდე, წინნები. 2. მარჯვენის წინფეხზეაქნევა ხელების შეერთებით, წინმკლავი, ქვენები, ფეხის ცერის ნებებზე შეხება. 3. მარჯვენის მიდგმა მარცხენასთან, ზემკლავი ზღვარამდე, წინნები. 4. წინრკალებით მიმკლავი. 5-8. იგივე მეორე ფეხით. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება 4-6-ჯერ, სუნთქვა თანაბარია; წინფეხზეაქნევის დროს ტანი წელში არ იხრება.

VIII ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ფეხშლით დგომი, დოინჯი, შესრულება: 1. მარჯვენის დრეკადი ზნექი მარცხნით ზღვარამდე, გარერკალით მარჯვენის ზემკლავი, ხელი მომუჭული. 2. მარჯვენის გამართვა, მარცხენის დრეკა, მარჯვენი წინზნექი, მარცხენის გარერკალით, მარჯვენის წინრკალით და ხელის გაშლით ქვეწინმკლავი, ნებების მარჯვენის ცერზე შეხება. 3. მარცხენის გამართვა, მარჯვენის დრეკა, ზემართი, ზნექი მარცხნივ ზღვარამდე, მარცხენის დოინჯი, გარერკალით მარჯვენის ზემკლავი, ხელი მომუჭული. 4. მარჯვენის გამართვა, ზემართი გარერკალით, მარჯვენის დოინჯი. 5-8. იგივე მეორე მხარეს. ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება 4-6-ჯერ. სუნთქვა თანაბარია; ვარჯიში სრულდება სრული ამპლიტუდით, ენერგიულად.

IX ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1. წახტომით ფეხშლით დგომი, განმკლავი. 2. წახტომით მიქუსლებული დგომი, ლუნგანმკლავი, ხელები მომუჭული მხრებზე. 3. წახტომით ფეხშლით დგომი, განმკლავი, ხელების გაშლა. 4. წახტომით მიქუსლებული დგომი, მიმკლავი, **მითითებანი:** ვარჯიშის 8-12-ჯერ გამეორების შემდეგ სრულდება ადგილზე სიარული 24-32 ნაბიჯის რაოდენობით; წახტომები სრულდება სწრაფ ტემპში; ადგილზე სიარული ტემპის თანდათანი შენელებით სწრაფი ტემპიდან ნელ ტემპამდე. 2-3 წახტომი, შესუნთქვა, 2-3 წახტომა — ამოსუნთქვა; წახტომები სრულდება ფეხის ცერებზე, რბილად.

X ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1-2. მარჯვენის განზე გადგმით ფეხშლით დგომი, ფეხები მხრების სიგანეზე, ფეხის ცერებზე აწევა, გაზნექი მკერდის არეში. შიგრკალებით გარეზემკლავი. 3-4. მარჯვენის მიდგმა მარცხენასთან, გარერკალებით მიმკლავი. 5-8. იგივე მარცხენა ფეხის განზე გადგმით. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში; მეორდება 2-3-ჯერ; 1-2 თვლაზე ღრმა შესუნთქვა, 3-4 თვლაზე — ამოსუნთქვა, ხელების მაღლა აწევის დროს თავი უკან არ იხრება.

შენიშვნა: კომპლექსებში თითოეული ვარჯიშის გამეორებისა და შესრულების ტემპი პირობითია და მათი ცვლა დამოკიდებულია ბავშვთა კონტინგენტზე, კლიმატურ პირობებზე და სხვ.

ს. თედეევი,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

III თამაშების საიერიშო მწვერვალები

ახალგაზრდული თამაშების პროგრამა მოიცავს ვაჟთა სპორტის 17 ოლიმპიურ სახეობას და ქალთა შორის მთლიან ოლიმპიურ პროგრამას (6 სახეობა). შეჯიბრებებში თამაშდება მხოლოდ პირადი პირველობები ოლიმპიური პირობების და რიტუალის ყოველმხრივი დაცვით. პირველი სამი პრიზიორი ჯილდოვდება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

ახალგაზრდულ თამაშებზე, ისევე როგორც წინათ, ცენტრალური ადგილი დათმობილი ექნება მძლეოსნობას, რომელიც მთლიანად ოლიმპიური პროგრამით ტარდება. დამატებას წარმოადგენს მხოლოდ შეჯიბრება ქალთათვის 400, 800 მეტრებზე და ამანათრბენი 4×200 მ-ზე. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ეს დამატებები ემთხვევა ევროპის 1958 წლის პროგრამას.

1953 და 1955 წლების თამაშებში მონაწილეობა მიიღეს 32 სახელმწიფოს თითქმის ყველა გამოჩენილმა მძლეოსანმა. მძლეოსანთა შორის ბევრი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და მსოფლიო რეკორდსმენები იყვნენ. პირველ თამაშებზე — 1953 წელს, გაუმჯობესდა 5 მსოფლიო რეკორდი. რამდენიმე ახალი რეკორდი იქნა დამყარებული 1955 წელსაც. ამას გარდა ვარშავაში გამარჯვებულთა შედეგები ათ სახეობაში უკეთესი იყო, ვიდრე XV ოლიმპიადაში.

მოსკოვის თამაშების მძლეოსანთა პროგრამა გასტანს 7 დღეს — 27 ივლისიდან 4 აგვისტომდე.

ქვემოდ მოგვყავს ახალგაზრდული თამაშების რეკორდების ცხრილი მძლეოსნობაში:

ვაჟები

100 მ	10,4	ლ. ბარტენევი	სსრ კავშირი	1955 წ.
200 მ	21,0	ვ. იანეჩეკი	ჩეხოსლოვაკია	1953 წ.
400 მ	46,8	ა. იგნატიევი	სსრ კავშირი	1953 წ.
800 მ	1.51,4	ს. იუნგვირტი	ჩეხოსლოვაკია	1953 წ.
1.500 მ	3.41,6	ლ. თაბორი	უნგრეთი	1955 წ.
5.000 მ	13.55,2	ე. ხრომიკი	პოლონეთი	1955 წ.
10.000 მ	29.25,8	ე. ზატოპეკი	ჩეხოსლოვაკია	1953 წ.
მარათონი	2:28.41,8	ი. ფილინი	სსრ კავშირი	1955 წ.
4×100	40,7	უნგრეთის	ნაკრები	1955 წ.
4×400	3.10,8	სსრკ-ს	ნაკრები	1953 წ.
110 მ თარჯ.	14,4	ე. ბულანჩიკი	სსრ კავშირი	1953 წ.
400 მ თარჯ.	51,5	ი. ლიტუევი	სსრ კავშირი	1953 წ.
3.000 მ დაბრკ.	8.49,4	ვ. ვლასენკო	სსრ კავშირი	1955 წ.
20 კმ სიარ.	1:32.54,2	ი. დოლეჟალი	ჩეხოსლოვაკია	1955 წ.
50 კმ სიარ.	4:16.51,2	მ. ლავროვი	სსრ კავშირი	1955 წ.
სიმაღლე	2,00	ი. სეტერი	რუმინეთი	1953 წ.
სიგრძე	7,63	ე. ფელდეში	უნგრეთი	1953 წ.
სამხტომი	16,35	ლ. შჩერბაკოვი	სსრ კავშირი	1955 წ.
ჭოკი	4,35	ვ. ჩერნობაი	სსრ კავშირი	1955 წ.
ბადრო	54,41	ბ. მატვეევი	სსრ კავშირი	1955 წ.
შუბი	77,93	ი. სიდლო	პოლონეთი	1955 წ.
ურო	64,33	მ. კრივონოსოვი	სსრ კავშირი	1955 წ.
ბირთვი	17,05	ო. გრიგალკა	სსრ კავშირი	1955 წ.
ათჭიდი	7.262	ვ. კუზნეცოვი	სსრ კავშირი	1955 წ.

ქალები

100 მ	11,3	შ. დე ლა ჰანტი	ავსტრალია	1955 წ.
200 მ	23,9	ქ. ზელიგერი	გდრ	1953 წ.
400 მ	54,4	უ. დონატი	გდრ	1955 წ.
800 მ	2.09,4	ნ. ოტკალენკო	სსრ კავშირი	1955 წ.
4×100	46,5		გრდ-ს ნაკრები	1953 წ.
4×200	1.36,4		სსრკ-ს ნაკრები	1953 წ.
80 მ თარჯ.	11,0	შ. დე ლა ჰანტი	ავსტრალია	1955 წ.
ბადრო	52,63	ნ. პონომარიოვა	სსრ კავშირი	1953 წ.
შუბი	51,60	ა. ჩუდინა	სსრ კავშირი	1955 წ.
ბირთვი	15,43	გ. ზიბინა	სსრ კავშირი	1955 წ.
სიმაღლე	1,66	ი. ბალაში	რუმინეთი	1955 წ.
სიგრძე	6,27	გ. ვინოგრადოვა	სსრ კავშირი	1955 წ.
ხუთჭიდი	4.888	ა. ჩუდინა	სსრ კავშირი	1955 წ.

წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: კლასიკურ ჭიდაობაში შოთა ნიკოლოზის-ძე სეფაშვილს (თბილისი, „დინამო"), ფარვიზ გრიგორის-ძე გველესიანს (თბილისი, „ბოლშევიკი"), სიმძიმეების აწევაში არამ აირაპეტის-ძე გრიგორიანს (თბილისი, „კოლმეურნე").

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ ფეხბურთში: შორის სოლომონის-ძე ჰაიჭაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), გიორგი სამსონის-ძე ანთაძეს (თბილისი, „დინამო"); ტყვიით სროლაში გიორგი ვასილის-ძე გოლოვინს (თბილისი, „დინამო"); კალათბურთში პავლე მიხეილის-ძე სიჭინავას, ველოსპორტში შოთა ალექსანდრეს-ძე ბუგიანიშვილს.

საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება ფეხბურთში აღედგინა იბრაგიმ მამედის-ძე სარჯველაძეს.

◆

კიევში, როგორც ცნობილია, ამას წინათ დამთავრდა „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება, სადაც პირველი ადგილი წილად ხვდა თბილისის „დინამოს" გუნდს.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თამაშის მომენტი თბილისისა და კიევის გუნდებს შორის. მარჯვნივ — მსაჯთა კოლეგიის საპატიო თასს გადასცემს თბილისელთა კაპიტანს კოზაევს.

ფოტო მ. სუიუშევისა.
ჩვენი სპეც. კორ.

◆

VI ფესტივალს, III თამაშებს მიუძღვნეს ეს ღონისძიებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მიღწევა

28 ივლისს საზოგადოება „სპარტაკის" ალპინისტებმა იოსებ კახიანმა და მიხეილ ხერგიანმა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს. ისინი ავიდნენ კავკასიონის მწვერვალ დონღუზ-ორუნზე ჩრდილოეთის კედლით. ამ მწვერვალზე ასვლა ურთულესი მარშრუტით პირველად განხორციელდა.

დონღუზ-ორუნზე (მწვერვალის სიმაღლე დაახლოებით 4.500 მეტრია) ასვლა თითქმის სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა. სპორტსმენებს მოუხდათ ისეთი მონაკვეთების დაძლევა, რომელთაც ჰქონდათ სამოცდაათამდე გრადუსის დახრის კუთხე, მთლიანად დაფარული იყვნენ ყინულითა და თოვლით. ალპინისტებმა ღამე თოკებით მიბმულებმა გაათიეს კლდეებში ჩასობილ პალოებზე.

მამაცურად ებრძოდნენ რა სიძნელეებს, მათ წარმატებით დაამთავრეს იერიში.

თავიანთი ასვლა ალპინისტებმა მიუძღვნეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალს.

◆

მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებზე შესანიშნავი წარმატება მოიპოვა იაპონელმა ტანმოვარჯიშე ტ. ონომ, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა ძელზე ვარჯიშში, ხოლო აბსოლუტურ პირველობაზე დაიკავა მეორე ადგილი. მაშინ ტ. ონო მრავალჭიდში გამარჯვებულ საბჭოთა სპორტსმენს ვ. ჩუკარინს ჩამორჩა მხოლოდ 0,05 ქულით. ასევე ძლიერი იყო იაპონელი სპორტსმენი ქალი კ. ტანაკა. მან თავისუფალ ვარჯიშში უძლიერეს ტანმოვარჯიშეებთან ჩეხ ე. ბოსაკოვასთან, ს. მურატოვასთან (სსრ კავშირი) ერთად გაიყო 4-6 ადგილი.

ამჟამად იაპონელი სპორტსმენები მოსკოვში იმყოფებიან და მონაწილეობენ III მეგობრულ თამაშებში.

• • •

სურათზე: ტ. ონო (მარჯვნივ) და კ. ტანაკა ვარჯიშის დროს.

◆

მდინარეებისა და ზღვის გავლით

ივლისის დასაწყისიდან თბილისის ზღვაზე ხშირად ნახავდით ტურისტული ბაიდარებით აღჭურვილ თორმეტკაციან ჯგუფს, რომელიც სისტემატურ წვრთნას გადიოდა მომავალი ტურისტული ლაშქრობისათვის. ეს ლაშქრობა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინიციატივით ეწყობოდა და მას ტურიზმის ენთუზიასტი, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე ი. სულიაშვილი ხელმძღვანელობდა.

... და აი, დადგა 12 ივლისი — ლაშქრობის დაწყების დღე!

მარშრუტი: ზესტაფონი-მდ. ყვირილა-მდ. რიონი-ფოთი-ოჩამჩირე-სოხუმი. მთელი ეს გზა უნდა დაფარულიყო ბაიდარებით, ასეთი სახის ტურისტული საბაიდარო ლაშქრობა პირველად ტარდებოდა საქართველოში.

ლაშქრობის დაწყებისათვის ჩვენი ბანაკი გაშლილი იყო ზესტაფონიდან 5-6 კილომეტრზე, მდინარე ყვირილას მახლობლად. ლაშქრობაში ზემოაღნიშნულ 12 კაცს გარდა მონაწილეობდა ირლანდიული სეტერიც, რომელმაც, წინასწარ ვიტყვი, დიდი „პატივი გვცა" არაერთგზის ნადირობის დროს და თუ ნიჩბების მოსმაში არა, საკვების მოპოვებაში მაინც ღირსეულად გვაწევდა ჰაპანს..

დილის 5 საათზე დავიწყეთ სპორტული ინვენტარის წესრიგში მოყვანა და უკვე 7 საათზე ყვირილას ტალღებზე ვარწეოდით.

ყვირილა არც თუ „სტუმართმოყვარულად" დაგვიხვდა. ზოგ ადგილას მისი დინება ისე „ფართოდ" იყო გაშლილი, რომ ჩვენ და ბაიდარები როლებს ვიცვლიდით და ეს უკანასკნელიც ხშირად ჩვენს ზურგებზე ინაცვლებდნენ. სამაგიეროდ, რაც უფრო ვუახლოვდებოდით რიონს, მით უფრო ღრმავდებოდა წყალი და მალე, როცა ყვირილას შავი ზვირთები რიონში გაითქვიფა, ჩვენც მეტი ხალისით დავაწექით ნიჩბებს და ბაიდარების „მუხანათობასაც" თითქოს ბოლო ეღებოდა — ისინი სწრაფად, უპრეტენზიოდ მიჰყვებოდნენ ფართოდ გაშლილ მდინარეს.

მაგრამ აი, სამტრედიის რაიონის სოფ. ახალსოფელს ვუახლოვდებით. რიონი აქ 200-300 მეტრზე იშლება. შუა ბორანის ბაგირია გაჭიმული, რომელიც სულ რაღაც ნახევარი მეტრით თუ იქნება აცილებული წყლის ზედაპირს. დაწინაურებულ ორ ბაიდარში ვართ ოთხი კაცი, მათ შორის ი. სულიაშვილი. ჩვენ ვწევართ ნავებში, მშვიდობიანად გავდივართ ბაგირს ქვეშ და ახლა ჩვენდა უნებურად, „სეირს" ვუყურებთ. მომდევნო ბაიდარზე მჯდარმა გ. ყარალაშვილმა, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა, დაწოლას ბაგირის აწევა ამჯობინა და ისე გამოატარა ნავი. თვითონ და მისი მეწყვილე გ. ორჯონიკიძე კი მშვიდობიანად გამოვიდნენ ამ ოპერაციის შედეგად, მაგრამ დაქნეულმა ბაგირმა, ჩვეულებრივი ფიზიკური კანონის ძალით, იმავე წამს დაწყნარება არ ისურვა, ქანაობა განაგრძო ისე, რომ წყლის ზედაპირსაც ეტლაშუნებოდა და მოდი, ბიჭო, ხარ და შეურჩიე ისეთი მომენტი, რომ ზედ ან ქვეშიდან გაატარო ბაიდარი. შედეგი კი ის იყო, რომ მომდევნო ბაიდარებზე მსხდართ გადაუბრუნდათ ნავები, თვითონ კი მერცხლებივით შემოსხდნენ ბაგირზე, თანაც ისე, რომ ს. ლევინაშვილს და ნ. გულიაშვილს თან გადაბრუნებული ნავები ეჭირათ ცალ ხელში...

მარცხი უკან დარჩა, ერთი ნიჩბის გარდა, ყველაფერი ისევ უკან გამოვტაცეთ მდინარეს და ახლა გაშლილ კარვებში ვისვენებთ ისინი, ვინც დავსველდით, ხოლო მშრალად გადარჩენილნი სველ კარვებს უვლიან.

იძულებითი დაბანაკების მეორე დილით გზა განვაგრძეთ. მაგრამ არც ეს დღე აღმოჩნდა სრული ტურისტული დღტვართვისა. დღის 2 საათზე ამინდი მკვეთრად შეიცვალა, ცა შავი ღრუბლებით შეიკრა და ისია იყო, კარვების გაშლა მოვასწარით, რომ კოკისპირულმა წვიმამ დასცხო.

... მეორე დღის ლაშქრობის შედეგად „პატარა ფოთის" მისადგომებთან აღმოვჩნდით და ღამისთევაც აქ მოვაწყეთ. ამავე პერიოდში აღმოუჩნდა ჩვენს ჯგუფს პირველი „მოღალატე" — ეს ირლანდიული სეტერი გახლდათ, რომელმაც, ალბათ, უჩვეულო პირობებში მგზავრობა ვერ აიტანა და „შეუძლოდ" გახდა. იგი ნაპირზე „დავაბანავეთ", ჩავაბარეთ ჩვენს დამხდურებს და გზა განვაგრძეთ. 16 ივლისს, დილის 11 საათზე ღია ზღვა გადაგვეშალა თვალწინ და ბაიდარებიც შიგ შეცურდნენ. ზღვა არც თუ ალერსიანად დაგვიხვდა — ღელვა 3 ბალს აღწევდა. 5-6 კილომეტრის გავლით ფოთისაკენ შევბრუნდით და მალე ქალაქის პლაჟზე აღმოვჩნდით.

ზღვის ღელვა მატულობდა და სამი დღის განმავლობაში გზის განგრძობის საშუალებას არ გვაძლევდა. ბოლოს, 19 ივლისს მან ოდნავ იკლო და ჩვენც გავყევით მარშრუტს, რომელიც 12 საათისათვის ისევ გაძლიერებულმა ღელვამ შეგვაწყვეტინა. შევჩერდით ყულევში, შემდეგ ისევ განვაგრძეთ გზა, მაგრამ ზღვამ ისევ გვაჯობა სიჯიუტეში, ღელვამ 5-6 ბალს მიაღწია და იძულებული გავხდით ნაპირზე მისადგომები გვეძებნა, როგორც კი სოფელი ანაკლია შევნიშნეთ ჰორიზონტზე. ნაპირი მეტად მიუდგომელი აღმოჩნდა: ენგურის მიერ 50-60 მეტრ სიგრძეზე დასილულ ფსკერზე ტალღების რამდენიმე სერიას გაემართა ჯირითი... და ბოლოს, ვძლიეთ სტიქია, მაგრამ აი, მისი სანაზღაუროც: ჩვენი ლაშქრობის ფოტოკორესპონდენტს ბაიდარი გადაუბრუნდა და მასთან ერთად მთლიანად დასველდა და გაფუჭდა ფოტოფირები, მე კი ცალი ნიჩაბი გადამემტვრა.

ჩვენი გადმოსხდომის ადგილი კარგა მანძილით (და თანაც — ჭაობით) იყო დაცილებული სოფელსა და მდინარე ენგურსაც. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ყოველი დაბანაკების დროს ელვისებურად წამოიჭრებოდა ხოლმე სასმელი წყლის მწვავე „პრობლემა". ყველას საშინლად გვწყუროდა, თანაც დიდი სიცხე იდგა და ძლიერ დაქანცულები ვიყავით. წყალი კი არსად ჩანდა! „სასოწარკვეთილნი" ვისხედით ნაპირზე, რომ ჩვენმა ხელმძღვანელმა არაკლი სულიაშვილმა ამოხვნეშით თქვა:

— არა, ძმაო, ამ სიცხეში ჯდომას, ისევ ზღვაში ჩავწვები, გრილად მაინც ვიქნები, — და შეასრულა კიდეც საწადელი. ზღვა კი ისევ საშინლად ღელავდა.

აი, ირაკლი!. უზარმაზარმა ტალღამ დაარტყა, ჩააყურყუმალა კიდეც. ჩვენ ის-ის იყო მისი უსიამო სახის გამოჩენას ველოდით, რამდენადაც ორიოდ ყლუპი ზღვის წყალი მაინც ექნებოდა მას „მირთმეული", რომ მართლაც ამოყვინთა ირაკლიმ, მაგრამ... გაბრწყინებული, გახარებული იერით და ყვირილი მორთო:

— ბიჭებო, მათარები მოიტანეთ!

აღმოჩნდა, რომ აქ, ფსკერზე, ენგურის დინება აღწევს და მშვენიერი, ცივ-ცივი და გემრიელი სასმელი წყალიც მოაქვს თან...

დილით გზა განვაგრძეთ და მომდევნო გაჩერება სოფელ გადიგასთან მოვახდინეთ. 22 ივლისს პირველად ვიხილეთ მთლად დამშვიდებული, სარკესავით კრიალა ზღვა და გაათკეცებული ხალისით გადავსერეთ იგი ოჩამჩირემდე. აქ ერთდღიანა დასვენება მოვაწყეთ პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე და შემდეგ რამდენიმე დღეში წარმატებით და უფათერაკოდ დავამთავრეთ მარშრუტი.

აღსანიშნავია, რომ მთელი ლაშქრობის მანძილზე ჩვენ სისტემატურად ვატარებდით მცხოვრებლებთან და მეთევზეებთან საუბრებს სხვადასხვა საკითხზე და ვუხსნიდით მათ ჩვენი ლაშქრობის მიზნებსა და ამოცანებს, იმას, რომ ჩვენ იგი მივუძღვენით III საერთაშორისო სპორტულ თამაშებსა და მსოფლიო ფესტივალს.

გ. კავკასიძე,
ლაშქრობის პოლიტხელი.

◆

რუსეთის უძველეს ქალაქში

3 აგვისტოს ქ. ვლადიმირში დაიწყება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში მოსწავლე ვაჟებსა და გოგონებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ესტონეთის, ლატვიის, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის ნაკრები კოლექტივები. თვითეულ გუნდში 8 ვაჟი და 4 გოგონაა.

პირველობაში მონაწილეობის მისაღებად უკვე გაემგზავრა საქართველოს მოსწავლეთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან: ვაჟები: მ. თხელაძე, ა. იზვოზჩიკოვი (თბილისი), თ. ჯახუტაშვილი (ბათუმი), გ. ბუცხრიკიძე, რ. ჩირგაძე (ქუთაისი), გ. სტეპანოვი (ხაშური), ე. აბრამიძე (ქუთაისი), რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი); გოგონები: ნ. გაფრინდაშვილი, რომელიც ვლადიმირში სვერდლოვსკიდან ჩავა, გ. ბუცხრიკიძე (ქუთაისი), მ. ჩომახიძე და მ. სტატნიკოვა (თბილისი).

გუნდს მწვრთნელებად წაჰყვნენ ვ. ქარსელაძე და გ. ეგიაშვილი. შეჯიბრება გაგრძელდება 18 აგვისტომდე.

მრავლდებიან ნიშნოსანი ალპინისტები

წარმატებით დამთავრდა ალპინიადა მყინვარწვერზე. ლაშქრობაში მონაწილეობდა დედაქალაქის საწარმო - დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა რაზმი 50 კაცის შემადგენლობით.

სათანადო მომზადების შემდეგ დაკომპლექტებული ჯგუფი თბილისიდან გაემგზავრა და სოფელ გველეთის გავლით დევდორაკის ხეობაში ზღვის დონიდან 2.200 მეტრ სიმაღლეზე დაბანაკდა. 15 დღის განმავლობაში წვრთნისა და ვარჯიშის პარალელურად ჩავატარეთ სპორტული შეჯიბრებები.

სხვათაშორის, ბანაკს რამდენიმე დღით ეწვია ჩეხოსლოვაკელი ახალგაზრდა, ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი მარტა როუჩევა, რომელიც ავადმყოფობის გამო ჩამორჩა მყინვარწვერზე ამსვლელ თავის თანამემამულეებს.

10 ივლისს ბანაკი აიშალა და გაუდგა გზას ბართკორტის ქედზე მდებარე „ტბეხსაკენ", 11 ივლისს კი კლდოვანი ქედით შევარდნის ბუდისაკენ და მისი გავლით მყინვართ გუმაგების რაიონისაკენ, სადაც 4.116 მეტრის სიმაღლეზე გაიშალა ახალი ბანაკი. მთელი ღამე სუსხიანი ქარი ქროდა...

ცუდი ამინდის მიუხედავად, დილის 4 საათზე ბანაკი ავშალეთ და გზას გავუდექით. სახიფათო ადგილის გავლა ფორსირებული წესით მოვახდინეთ და გავედით თოვლ-ყინულოვან ველზე და მაილის უღელტეხილსაც მივაღწიეთ. შესვენების შემდეგ იერიში განვაგრძეთ. მოლაშქრეებმა წარმატებით დაძლიეს თოვლიანი და ყინულოვანი ციცაბო ფერდობები და ძლიერი ნისლისა და ქარის მიუხედავად, შუადღისას ფეხი შევდგით მარადთოვლიან მყინვარზე — მყინვარწვერი დაპყრობილ იქნა!

მწვერვალის ნიშნში ამოღებულ იქნა ბარათი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ასულ ახალგაზრდა მთასვლელებს (თბილისის პიონერთა სასახლის ჯგუფს) დაეტოვებინათ.

ახალბედა მთასვლელებმა, რომლებიც გერგეთის მყინვარით დაეშვნენ, ღამე მეტეოსადგურში გაათიეს, მეორე დღეს კი ყაზბეგს მიაღწიეს, სადაც მოეწყო განვლილი თეორიული და პრაქტიკული კურსის ჩაბარება „სსრ კავშირის ალპინისტთა" პირველი საფეხურის ნიშანზე.

ალპინიადის მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ „სსრ კავშირის ტურისტის" ნიშანი.

ქ. ასტახიშვილი,
სპორტის ოსტატი, ალპინიადის უფროსი.

მშვილდოსნობა

ᲐᲦᲕᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ

ქართველები, როგორც ცნობილია, მიეკუთვნებიან უძველესი კულტურის ხალხთა რიცხვს, მათ ყოფაში ფიზიკურ კულტურას ადრიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ფიზიკური კულტურის ძირითადი საშუალებების — ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების ქართულ საგანძურში მოიპოვება სპორტის მრავალი ხალხური სახეობა, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება ლელობურთი, ქართული ჭიდაობა, ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, ხევსურული დოღი და ფარიკაობა, თარჩია და სხვ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი უძველესი ხანის საქართველოში არსებულ იარაღთა შორის მშვილდისარს მთავარ ადგილს ანიჭებდა. იგი წერდა „მაშინდელ იარაღთა შორის, რასაკვირველია, მთავარი ადგილი უნდა მშვილდისარს სჭეროდა, რადგან ხე დროთა განმავლობაში ადვილად იფიტება და მტვრად იქცევა ხოლმე, ისევე, როგორც საბელი იშლება. მაგრამ მშვილდისარი და შვილდოსანი გამოხატულია მაშინდელ ბრინჯაოს სარტყელზე და ამით მისი არსებობა უცილობლად მტკიცდება... ისრებს ტალის ანახეთქი და ლითონის წვერები ჰქონდა, რომლებიც სამარეებში ბლომად მოიპოვება.

მშვილდი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ადამიანის სიმაღლეს სჭარბობდა და სამად მოხრილი და კიდურებ გადახრილი მსხვილი შვილდისაგან და შედარებათ წვრილი საბელისაგან შესდგებოდა". (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1928 წ. გვ. 12).

სწორედ ამიტომაა, რომ მშვილდებსა და ისრებზე მსჯელობის დროს, ჩვენ გამოვდინარეობთ მოგვიანო ხნის მშვილდებისაგან, რომლებიც დღეისათვის ჯერ კიდევ შემონახულია და ნაწილობრივად ემსგავსება ბავშვების მიერ ამჟამად ხმარებულ მშვილდებს. მშვილდისარი, საკუთრივ მშვილდისა (მოხრილი ხის ტოტი, ბევრ შემთხვევაში რქებისა და ძვლის გამოყენებით) და ისრისაგან შედგება.

არსებობს აზრი, რომ მშვილდის პირვანდელი სახე ლერწმის ნაჭერი იყო, რომელსაც ქერქის ზოლი ქონია შუაში აგლეჯილი ისე, რომ ამ ზოლის ბოლოები, ბუნებრივად ჩამაგრებული დარჩა. ამრიგად, ასეთი მშვილდი ფაქტიურად, ერთი მთლიანი ნაჭრისაგან ყოფილა გაკეთებული.

არსებობს სხვა აზრაც, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ მშვილდის პირვანდელი სახე ბუჩქიდან მოჭრილი წნელი იყო ერთ ბოლოში შედარებით მოსქელო. დროთა განმავლობაში ამ გვერდის გასწორება დაიწყეს და ბოლოს მშვილდის ორივე ბოლო ერთი სიგრძისა და სისქისა გახდა (საქართველოს ცალკეულ მთიან რაიონში დღესაც ვხვდებით მშვილდს, რომელსაც ერთი ტოტი მოსქო აქვს მეორესთან შედარებით).



ნახ. 1



ნახ. 2

განსხვავება მშვილდებს შორის ძალზე მცირეა და ეს ძირითადად ეხება მის ზომას. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ისეთ ადგილებში, სადაც შედარებით ნაკლებად მოიპოვება მშვილდისათვის ვარგისი ხის მასალა, მშვილდები კეთდებოდა უმთავრესად რქების და ხის ნაჭრებისაგან.

მშვილდის ზომის შესახებ სხვადასხვა, ხშირად საწინააღმდეგო აზრიც კი არსებობს. მაგალითად, აფრიკის შესახებ ცნობილია, რომ ტყიან ადგილებში პატარა მშვილდები გვხვდება, ხოლო ველ ადგილებში კი პირიქით — დიდი მშვილდებია გავრცელებული. სამხრეთ ამერიკისათვის საწინააღმდეგო დებულება არსებობს. ცნობილია, მაგალითად, ისიც, რომ ცხენოსნები ყოველთვის პატარა მშვილდს ირჩევდნენ.

მშვილდების სამი ძირითადი სახეობაა ცნობილი. ესენია ხისა, რქისა და ე. წ. შედგენილი მშვილდები.

საქართველოში ამათგან პირველი ორი სახეობაა უმთავრესად გავრცელებული. რაც შეეხება შედგენილ მშვილდს, ერთ-ერთი მათგანი ინახება საქართველოს სსრ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ფონდებში. ამავე მუზეუმში ვხვდებით ნაწილებისაგან შემდგარ შეკრულდაწებებულ მშვილდს, რომელთა ნაწილსაც გარშემო დახვეული თოკი ან ტყავი აქვს

საბელი გვხვდება ლერწმისა, მცენარეულის ბოჭკოსაგან დაგრეხილი და ცხოველის ძარღვისა საბელი ცალი მხრიდან ხშირად ისეა მიმაგრებული, რომ მთელ მშვილდზეა მოვლებული. საბელი ხან დაგრეხილია, ხან კი (უმთავრესად ძარღვისა) პირდაპირ იჭიმება.

ისარი შედგება ზროსაგან, ტანისაგან, კილოსაგან და ზოგჯერ ფრთისაგანაც. ქართულ ისრებში ზრო უმთავრესად ლითონისა გვხვდება (ეს არ გამორიცხავს იმას, რომ უძველეს ხანში შეიძლება ხის, კაჟის ან სხვა მასალის ზროები იყო ჩვენში). ზოგადი ეთნოგრაფიიდან ცნობილია, რომ ისრის ზროების მრავალსახეობა არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ზროებზეც.

საქართველოს მთიან რაიონებში ჩვენს მიერ დამოწმებულა ისრები, აგრეთვე საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული ისრის ზროები უმთავრესად ორგვარაა: მჭრელი (პირწაწვეტილი-ერთწვერიანი, ფოცხვ-მაკრატელ-ორწვერიანი სურ. 1.) და ბლაგვები (ბრტყელპირიანი და მრგვალპირიანი). მათ შორის მეტ წილ შემთხვევებში ვხვდებით მჭრელ; ერთწვერიან ზროებს. რაც შეეხება პირბლაგვ ზროებს, ისინიც მრავლად გვხვდებიან ჩვენში და უმთავრესად ფრინველებზე, ან ძვირფას ბეწვიან პატარა ზომის ცხოველებზე სანადიროდ. გასაგებია, რომ ასეთი ზრო, ნიშანში მოხვედრის შემთხვევაში არ აფუჭებს ბეწვს.

ბლაგვ ზროებს შორის აღსანიშნავია ბრტყელპარიანი ზროები (სურ. 2). ეს უკანასკნელნი იხმარებიან თევზებზე სანადიროდ ახლო მანძილიდან. ამ შემთხვევაში ისრის ბოლო დამაგრებულია მშვილდზე, ან შეიძლება საბელზე. მაგ. მთა-თუშეთში ისრები უფროსი ასაკის მამაკაცებისათვის უმთავრესად ფიჭვის ხისგან კეთდება. ზროს სიგრძე 15-16 სმ. უკეთდება 4 არწივის ან სვავის ფრთა 8-9 სმ. სიგრძისა თვითეული. [illegible] შემოღებამ ზოგიერთში წვერებ მოწამლულ ისრების გაჩენას და მრავალი ისრის მოხერხებულად ერთად ტარების აუცილებლობას. კაპარჭი ჩამოიკიდება მხარზე ან ქამარზე. თავისი ზომით, კაპარჭები სხვადასხვანაირი გვხვდება. მათ შორის არსებობენ ისეთებიც, რომლებშიც მშვილდიც კი ეტეოდა.



ნახ. 3

საქართველოში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, კაპარჭები უმთავრესად ისრების სატარებლად იხმარებოდა. საქართველოს მუზეუმში დაცული კაპარჭი ტყავისაა, მაღალი ვიწრო ორივე მხრივ შებრტყელებული კასრისებური მოყვანილობასა (სურ. 3).

მშვილდოსნობა ძველთაგან მომდინარეობს და ისე ფართოდ იყო გავრცელებული, რომ მისი, როგორც სპორტის სახეობის თავდაპირველი სამშობლოს დადგენა არამც თუ ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა. ზოგ სახელმწიფოში მშვილდოსნობა დღესაც სპორტის ერთ-ერთ მეტად საინტერესო სახეობას წარმოადგენს და მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სპორტის ამ სახეობაში, როგორც ცნობილია, იმართება საერთაშორისო შეჯიბრებები და მსოფლიო პირველობა. ახლა მოსკოვში მიმდინარეობს III საერთაშორისო სპორტული თამაშები, რომლის პროგრამაში საპატიო ადგილი უჭირავს მშვილდოსნობას.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოში, სადაც მშვილდოსნობა ძველთაგანვე და მძლავრად განვითარებული ყოფილა, აღდგენილ იქნას სპორტის ეს ხალხური სახეობა. ამისათვის საჭიროა დავადგინოთ ხსენებული იარაღის სტანდარტები, შეჯიბრების წესები, მეცადინეობისა და შეჯიბრების პირობები, სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკა და სხვ.

ვ. ელაშვილი

(გაგრძელება იქნება)

ყოველი მხრიდან

ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

საინტერესო ამბავი შეემთხვათ ინგლისის საფეხბურთო კლუბის „სალფორდის" მოთამაშეებს. გუნდის ყოველ ცოლიან მოთამაშეს განქორწინება მოელოდა იმის გამო, რომ ერთ-ერთი თამაშის შემდეგ თავიანთ ქალაქში დაბრუნებისას ცოლებმა აღმოაჩინეს, რომ მათ ქმრებს ერთობ სურნელოვანი, მაგრამ უცნობი ოდეკოლონის სუნი ასდიოდათ.

დიდი გამოძიებისა და კვლევის შემდეგ გამოირკვა, რომ ფეხბურთელებს მგზავრობა მოუხდათ პარფიუმერის ცნობილი კომპანიის ავტობუსით, რომელიც ისე იყო გაჟღენთილი ამ უცხო ოდეკოლონის სუნით, რომ იგი მოთამაშეებსაც გადაედოთ.

„სალფორდის" მოთამაშეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მომავალში აღარ იმგზავრონ ავტობუსებით.

ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

საფრანგეთის თასზე ფეხბურთში თამაშობდნენ „ბესიერსისა" და „ალეს" გუნდები, რომლის დროსაც მინდორზე ჩხუბი ატყდა. ამის გამო საფრანგეთის საფეხბურთო ასოციაციამ თვითეული კლუბი დააჯარიმა 25 ათასი ფრანკით.

გუნდებს შორის დანიშნულ იქნა გადათამაშება, რომელსაც მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო — ყველა მოელოდა ჩხუბის განმეორებას. მაგრამ, „სამწუხაროდ" თამაში ჩატარდა წყნარად და მშვიდად.

მატჩის შემდეგ გამოირკვა, რომ შემოსავალი სალაროში უდრიდა 2 მილიონ ფრანკს, საიდანაც თვითეულმა გუნდმა მიიღო 30 ათასი ფრანკი. „ბესიერსის" გუნდის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ: „ეს პირველი შემთხვევაა, როცა ზარალის შემდეგ შესაძლებელი გახდა ასეთი ეფექტური მოგების მიღება".

ᲭᲐᲛᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲜᲘ

როგორც ამას წინათ გამოირკვა, მელბურნის ოლიმპიადაზე ბრძოლა მხოლოდ სპორტულ ბაზებზე კი არ იყო გაჩაღებული, არამედ... სასადილოებშიც. თამაშების დაწყებამდე გავრცელდა ხმა, თითქოს რუსები ძლიერ ბევრს ჭამენ და ამ სახეობაში გამარჯვებას მათ ვერავინ შეეცილება. ყოველი სასადილოს ადმინისტრაცია კვების გასავლის აღრიცხვას აწარმოებდა თვითეულ სპორტსმენზე და ეს ცნობება შეჰქონდა სპეციალურ წიგნში.

დიდი იყო გაკვირვება, როცა გამოირკვა, რომ საბჭოთა სპორტსმენებს ჭამაში დაუკავებიათ ერთ-ერთი ბოლო ადგილი. „ოქროს მედლები" ერგოთ ამერიკელ სპორტსმენებს.

რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ

წლების მანძილზე სამხრეთ ოსეთის საჭადრაკო სექცია (თავმჯდომარე ო. გასიევი) უმოქმედობას იჩენდა, არ ეწყობოდა საქალაქო და საოლქო პირველობები, ბავშვთა შეჯიბრებები და სხვა. ამას რასაკვირველია, ხელს ისიც უშლიდა, რომ სტალინირში არ არსებობდა საჭადრაკო კლუბი.

მიმდინარე წლის ზამთარში ოლქის მოჭადრაკეთა აქტივმა გადაახალისა სექციის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარედ აირჩია თ. კაბისოვი), დაამტკიცა წლის სამუშაო გეგმა და რამდენიმე ღონისძიების ჩატარება დაისახა.

მოჭადრაკეებს ქმედითი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. სტალინირში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი, რომელიც გადაიქცა ჭადრაკის პოპულარიზაციის ცენტრად. კლუბში ჩატარდა ქალაქის პირველობა ჭადრაკში — ჩემპიონის სახელი მოიპოვა ვაშკევიჩმა.

ამას წინათ ოსტატი ა. ბუსლაევი ჭადრაკის მოყვარულთ ესაუბრა ჭადრაკის თეორიის საკითხებზე და ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 17 დაფაზე. მან 12 პარტია მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო სტალინირის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. პლიევთან.

სამხრეთ ოსეთში გამოცოცხლდა საჭადრაკო ცხოვრება. საჭიროა, რომ იგი მომავალში უფრო მჩქეფარე გახადონ ჭადრაკის მოყვარულებმა.

Ს. ᲒᲣᲒᲣᲜᲐᲕᲐ,
რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბის ინსტრუქტორი.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02285